

2594.

ՀԱՅԿԵՆՆԵՐԻ  
ՅԵՐՈՒՅԵՐԻ

# ՄԱՍՆԱԿԱՆՈՒՄ



Գրված է

1929

ԼՍԻՄԵՆ



**1929**  
**თბილისელი**

საქართველოს შ. კ. ო. ცენტრალური და ცდაილ. ში-  
რთების და გან. სახ. კომისიარ. ხელ. აღმ. მთავარმარ-  
თულთმისა — ქუჩინალი მებაჭურლოვან შავთათვის

**წელიწადი II**  
**№ 2**

**შ ი ნ ა ა რ ს ი.**

1. გაზაფხული, — ლექსი მარიჯანის . . . . .	1
2. კატარა სვანი, — მადერის . . . . .	2
3. ჩვენი სიმღერა, — ლექსი შალვა შაველაშვილის . . . . .	9
4. შორს დიდ, — პიესა სეზმან ერთაწმინდელის . . . . .	10
5. კომუნა, — ლექსი დავით კობიძის . . . . .	15
6. ჩვენი გაზეთი: 1) მშრომელ ქალთა დღე, 2) პარიზის კომუნა, 3) კინო აღაპარაკდა, 4) უზილაგი საფრთხობელა, 5) ხელოსანი სანდრო, 6) ქალაღლის ქეაბი. . . . .	16
7. ამხანაგო, შვიგშალა, — ლექსი შიო მღვიმელის . . . . .	22
8. კარგი და ცუდი, — ნ. ჩუკოვსკის. თარგ. . . . .	23
9. დედა-მამელი, — თარგ. მარკია შიქელაძის . . . . .	28
10. ტრაპტორაჟი, — ნოე დაფნარელის . . . . .	30
11. ჩვენი მკითხველების წერილები და ნახატები . . . . .	31
12. ტაჟი კარღღელი, — სიმღერა, მუსიკა ბეგუნბეგუნისა — ცდაზე . . . . .	

**გ ა მ ო ვ ე ზ ა**

დაბა ლალიაშვილის შვიდწლეუდთან ახსენებულნი შობილის მხელაძის  
სახელობის კოლექტივის **ოქტომბერი** და ვიწვევთ ამავე მიზნით **ქრისტე**  
**ოქტომბერი** და ვიწვევთ ამავე მიზნით **ქრისტე**, დ.  
**შავიყის და ალკანის ოქტომბერი**.

მინდობილობით პიონერი ს. ისინი.

ჩვენი მისამართი: დ. ლალიაშვილი (რაკა-ლეჩხუმის შავიყი).



558.

### გაზაფხული.

გაზაფხულის წვიმა ცრის,  
 ცრის, ცრის, ცრის!  
 ხის კვირტებს და ფოთლებს შლის,  
 შლის, შლის, შლის!  
 ჩიტმა ფრთა შემოჭკურა ფრთას,  
 ფრთას, ფრთას, ფრთას!  
 მწვანე მოლი მინდორს რთავს,  
 რთავს, რთავს, რთავს!  
 მწვემსი ნახიროს გამორეკს,  
 რეკს, რეკს, რეკს!  
 მიაშურებს მთის ჩანჩქერს,  
 ჩქერს, ჩქერს, ჩქერს!  
 მხემ ცან სხივი გადაჭკურა,  
 ჭკურა, ჭკურა, ჭკურა!  
 ინმის გლეხის სიმღერა:  
 რა-რა-რა!  
 ესაღმება მიწა მხეს,  
 მხეს, მხეს, მხეს!  
 უხარია ვაელას დღეს,  
 დღეს, დღეს, დღეს!



მარიჯან.



# პატიარა სპანო

პატარა სვანი კასულ შემოდგომასე ჩამოვიდა  
ჩვენ ქალაქში.

მშობლები სახადით დაეხიყა.

ბიჭიკოს არ ესმოდა, რისთვის უნდა დახოცილიყვნ მისი  
მშობლები, რისთვის დამაწესეს მისი საუკარელი დედოცო და მამი-  
კო ცივ მიწაში.

რა უნდა ექნა მარტოდ-მარტო? სამთარი ახლოვდებოდა, ქარი  
სუსუნებდა, და შიში იპერობდა პატარა ბიჭს. მის ქოხში, რომე-  
ლიც სოფლის განაპირას იდგა, კერა ჩამქრალიყო და შივ ცივი  
ნაცრის ბეტი აღარაფერი იყო.

ბიჭიკოს უნდოდა დაეყვირა: „წამიყვანეთ აქედან“, უნდოდა გა-  
მოვარდნილიყო და გაქცეულიყო სოფლისაკენ, მაგრამ განსენდა  
მამის ნაამბობი, რომ მთის გადაღმა, შორს, შორს არის დიდი  
სოფელი — ქალაქი, სადაც მდიდარი ხალხი ცხოვრობს, სადაც მა-  
ღალს სეობას სემოდან უსარმახარი ფრინველები, კამეჩებზე უდი-  
დესები, დაფრინავენ, სადაც ქუჩებში ოქროსფაფრიანი ცხენები  
დარბიან.

მამის ბიჭიკო უურს უკდებდა მამას და ნატრობდა ოდესმე  
იქ წასვლას, ოქროსფაფრიანი ცხენით გასეირნებას, დიდი ფრინ-  
ველის დანახვას, როგორ ატრიადლებს ის დიდსა და ლამაზ ფრთებს.

და ახლა გაუეღვა თავში პატარა სვანს: რა იქნება, რომ  
წავიდე სანატრელ ქვეყანაში! ისინი ხომ აღარ არიან, ვინც  
უკვარდა და ეისთანაც ცხოვრება უფრო სანატრელი იყო.

აღვა პატარა ბიჭიკო და მოემზადა დიდ სოფელში — ქალაქში  
წასასვლელად, აიღო წალდი, გამოსკრა დიდი ჯოხი; ჩაიცვა ტანსე  
მამის ქერქი, ფეხზე მამის ქალამხები ჩაიცვა, წელში წალდი გაიბ-  
ჭო, სელში ჯოხი დაიჭირა, მხარზე ბაწარი გადაიკლო და გაუდ-  
გა კას.

დილა იყო. ციოდა. ქარი არხევდა ხეებს და ჭურჭა მირს შეკითლებულ ფოთლებს. ჰატარა სვანი ტყეში შევიდა. მან იცოდა, რომ ჯერ ტყე უნდა გაველო და მიდიოდა წინ გაბედულად, უოხლად. შტოები და ბუჩქები ზირისასკს და ხელებს უგაწრავდა. მოისმოდა ჭოტის ნაღვლიანი კივილი. აქა-იქ კურდღლები გადაურბენდნ კზას სტუნვით.



დაიღაბა ჰატარა ბიჭიკო და უკლო ნაბიჯს. უცებ რაღაც მტვრევის ხმა გაისმა და მუსის ვკორდით დაინძრა ნაცრისფერი რაღაცა. „კაცია“, — გაიფიქრა ბიჭიკომ, გაესარდა. მკვრამ დაინახა, რომ მისკენ ვეებერთელა დათვი მობაჯბაჯებდა. შემინდა ბიჭიკო, მუსლები მოეკვითა, თავბრუ დაესხა, მკვრამ ეს ერთი წუთით იყო. ის დატრიალდა და ციქვივით მარდად ავარდა ხეზე. დათვმა შეთვალეირა ხე, დახუნა, თათით ცხვირი მოიფხანა.

ბიჭიკოს შიშისაგან კული უფანცქალებდა, მან იცოდა, რომ დათვმა ხეზე გასულა იცის, მკვრამ დათვმა მიიხედ-მოიხედა, სანტად აიღო მიწასე რეო და ჭამით ხელა გაუდგა კზას. კარგახანს იჯდა ბიჭიკო ხეზე, სხანამ დათვი თვალს არ მოეუარა, მერე ხელა ხამოცოცდა მირს. კხადაკზა ის ზოულოდა ხამოცვიუნულ ტყის თხილს ფოთლებს ქვეშ და აქა-იქ შერხნილ მწიფე შვინდს.

დაღამდა. ტყე სიბნელემ მოიცვა. ბიჭიკო მოიქანცა, მილი ერეოდა, მაგრამ როგორ უნდა გაეთია ღამე, სომ საშიშია, ნადირმა რომ შეჭამოს, შეკლმა ან ტურამ დაგლიჯოს.

შიშმა შეიჭურო ბიჭიკო. მაგრამ სომ უნდა სძლიოს შიშს? ბაწარი სომ აქვს თან...



ზატარა სვანი ავიდა ხეზე, ბაწართ მსხვილ ტოტს მიება.

— ოჰ, ახლა ირბინონ რამდენიც უნდათ ძელებმა და ტურებმა, — გაიფიქრა ბიჭიკომ და დაიძინა.

დილით მშემ კვალვიდა ზატარა სვანი. ნამოვიდა ხიდან და ისევ გაუდგა ვზას.

კათავდა ტყე და წინ აიძრთა თოვლით დაფარული მთა, თითქოს უსარმაზარი თეთრი უბაღასით შესვეული თავით. ავიდა მთაზე და გადაისვდა.

ძირს სრიოკი კლდიანი მთის შეუული ფერდობი და ვაკეები.

ძალიან გაუჭირდა ბიჭიკოს ჩასვლა, ქვები ფეხებს სტკენდა, კვლიანი კლდის ბუჩქები ცხვირ-ხირს უკაწრავდა, მუხლები სისხლით შეველება, მაგრამ ის მაინც ითმენდა: სომ უნდა მივიდეს იმ საუცხოვო სოფელში...

ჩავიდა ვაკეში. ისევ ტყე, ისევ ჩირკვები, შიმშილი, შიში... საში დღე და საში ღამე იარა ბიჭიკომ, გახდა, ლოყები ჩაუცვივდა, ხმა ჩაუსჩა, მაგრამ გულის მანც არ იტყუნდა და მიდიოდა წინ, სულ წინ.

— კიდევ ცოტა, და გამოჩნდება სანატრელი ქალაქი, — ფიქრობდა ის... მაგრამ ეს რა აშმაგია? რამოდენა მდინარე! როგორ უნდა გადავიდეს ვაღმა? ნუთუ ამდენი შრომა დაიკარგა, უკან უნდა დაბრუნდეს, ნუთუ ვეღარ მიაღწევს სანატრელ ქალაქს? შეწუხდა ბიჭიკო, ცრემლები წასკდა თვალთაგან. ატირდა. დიდხანს იჯდა მწარე ფიქრებში გართული...

უცებ წამოხტა, თავი გააქნია და გაიქცა ნაპირ-ნაპირ ზევით. აქაფებული წყალი ღრიალით მოშუოდა ქვებზე ზვედან დაქანებული და აწვდებოდა კლდოვან კედლებს, მსუკებად დამსხვრეული. ბიჭიკოს გული უკანკალებდა, მაგრამ მანც მიტბოდა და უცებ შეჩერდა, ზირზე დიმილი გადაჭკრა: მომსკდარი ხე გადასწოლის მდინარეს. ხე წვრილია, ილუნება, მაგრამ სვანი ბიჭიკო ხომ ფეხმარდია, სწრაფად გაიბრებს, გადასტომაც ხომ კარგი იცის. და ბიჭიკო შედგა ამ „ბეწვის ხიდზე“. ხიდი მის ფეხქვეშ კანკალებდა. მდინარე ღრიალებდა, მაგრამ ჰატარა სვანი გამაღებით მიდიოდა ხედ ციყვივით და ფრთხილად. მუორე ნაპირზე განხდა ბიჭიკო.

შემდეგ მას არ ახსოვს რამდენი იარა, ბევრი სოფელი გამოიარა კსაში, მაგრამ არსად არ იყო მამის ნაამბობი ფრინველები და ოქროსფაფარინი ცხენები.

ქალამხები შემოაცვდა ფეხზე, ქურქი ზურზე გადასცვალა. ბოლოს მოაღწია ჩვენ ქალაქში ღამით. და უცებ მას შეანათა დიდრონი ოქროს თვალები რაღაც მუშა და გაქანდა მისკენ. ბიჭიკომ ძლივს მოასწრო გადასტომა და ფოთოლივით აცანცანდა. იქნებ ეს არის ის დიდი ფრინველი, მაგრამ რატომ ვერ დამინახა? — გაიფიქრა მან, რომ ამ დროს წითელმა ტრამვაიმ ჩაურბინა კვერდით. — აი, ახლა ოქროსფაფარინი ცხენი! — შეჭვივრა მან.



გათენდა. უცებ გაიხმა რაღაც სუსუნნი. ბიჭმა აიხედა და დანახა, რომ უსაღმარო ფრინველი დასრიალობდა ჰაერში. ბიჭიკო შეშინდა, თბა უაღუხე დაუდგა. ეკვლაფერი თითქოს ცოცხალი იყო, მაგრამ რაღაც საშინელი, და ვერ მიძვდარიყო, თუ რა ხდებოდა.

მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ ხალხი დაუწყესუხებდა. ბიჭიკომ დაუკრა მათ თავი, — სვანებმა ასე იციან, შესვედრის დროს ერთმანეთს სალაშის აძლევენ, — მაგრამ უურადღებებს არაფერ არ აქცევდა მას. ღაწარაკი, კრიამული იყო ირგვლივ, მაგრამ მას თითქოს ვერაფერ ხედავდა. ბიჭიკოს თვალები ცრემლებით ავესო. „ნთუ აქ ვერაფერ ვერაფერს ვერ ხედავს?“ — ფიქრობდა ის და მიდიოდა ქვაფენილზე. საშაქარლამო დანახა.

— ვჭამ მინც, — გაიფიქრა მან. გააღო კარი და ისიც იყო ხელი უნდა მოეკიდა ერთი ნაჭერი ნაცხერისათვის, რომ ქალი მივარდა და კარეთ გააკლო.

უჭმელ-უსმელი ბიჭიკო დარჩა კარეთ უბინაოდ. მას არ ახსოვს, სად გაათია ღამე, მკონია, სადღაც კიბეზე.

დილით ხედავს: ორი შავი შემურული ბიჭი, წითელ-შავად გაფისული, მონძებით შემოსილი, წითელ საჭაერო ბურთს ათამაშებს ხელში. ზატარა სვანსაც მოუნდა თამაში. ბიჭებმა ითამაშეს მასთან, თან წაიგვანეს და ასწავლეს ისე ცხოვრება, როგორც თვითონ ცხოვრობდნენ. ზატარა სვანიც ჰკრუფდა ესოებში გადურვილ ნამცვეებს, ხანდახან თხოულობდა კიდევ და ღამეს ქუჩის ზირას სილის უთში ათევდა.

დასამთრდა. თოვლი მოვიდა, და ბიჭიკოს შესცივდა სილის უთში. ასე მიდიოდა დრო.

ბიჭიკომ შეამჩნია, რომ ორმა ბავშვმა მის უთში დილ-დილაობით დაიწყო ცქერა. მას ეს აკვირვებდა, მაგრამ ეშინოდა დაღაწარაკებოდა.

ეკვლასე უფრო მას მოსწონდა ზიონერები, როცა ისინი დილის ბრახუნით ისე შწუობრად მიდიოდნენ ერთად მისი უთის ახლოს და უოველთვის უცქეროდა მათ გაცანიებული.





ამობდა ის და იცვამდა ტანსე.

მთელი კოლექტივი შეინძრა ზატარა სვანის მისვლის გამო. უველანი მხოლოდ ზატარა სვანსე ლაზარაკობდენ. უველას აკვირვებდა მისი თავკადანსავალი. კადანსუვიტეს კარგად მოეწოთ ის, მაგრამ როგორ და სად?

ბავშებმა ისევ მოახდინეს კრება. ამოიჩინეს დედეკატები და გაგზავნეს მასწავლებელთან.

სთხოვეს მიეცა ბინა ზატარა, მაგრამ უოჩადი, გაბედული სვანისათვის.

განა შეეძლო ვისმეს არ აესრულებია ასეთი თხოვნა?!

გავიდა რამდენიმე თვე. ზატარა სვანი უველას შეეჩვია, უველას შეუეზარდა. კოლექტივის თხოვნით მიიღეს ის შრომის სკოლის მოსამზადებელ ჯგუფში და ისწავლა კითხვა.

8 მარტს, მშენიერ შხიან დღეს, დედების დღესასწაულს შეიმობდა ჩვენი ქალაქი. რუსთველის გამზირზე ზიონურული სიმღერით მიდიოდა ზიონერთა დიდი რაზმი, წინ მიუძღოდა ზატარა სვანი და თვალუბგანბრწეინვეული, მხიარული მარტად უკრავდა მხარზე კადაკიდებულ დოღს.





## ჩვენი სიმღერა.

ჩვენ, ბატონა ოქტომბრელებს,  
 გვიყვარს მღერა, სიცილი,  
 თუ საქმეც არ გავაკეთეთ,  
 ეს იქნება სირცხვილი!..  
 შრომას ვსწავლობთ ხალისით,  
 საქმე არ გვეზარება,  
 მუშების შეილები ვართ,  
 ვერვინ დაგვედარება.  
 სახლში დედას ვუგონებით,  
 ვესაქმებით მარდადა;  
 კოლექტივშიც ვმუშაობთ  
 ბეჯითად და კარგად.

შალვა შაველაშვილი.



(პარიზის კომუნის დროის სურათი)

მოკმედნი:

- |                              |   |              |
|------------------------------|---|--------------|
| 1. ანდრე დიუ—მუშა            | } | კომუნარები.  |
| 2. ჟორჟ—ამისი შვილი, ბიჭიკო. |   |              |
| 3. როზეტა—სათნობის და        |   |              |
| 4. ლუი.                      |   |              |
| 5. შარლი.                    |   |              |
| 6. ლეიტენანტი.               | } | ვერსალელები. |
| 7. კაბალი.                   |   |              |

**სცენა:** ქუჩის მოსახვევში—ბარაკადა. ზედ წითელი დროშა, განთიად.

კოკონი ანთია. როზეტა ჭრილობას უხვევს ანდრეს. შარლი ყარაულად დგას. ჟორჟს სძინავს ცეცხლთან, იქვე უდევს პატარა დაფი. პაუზა.

**ანდრე.** განთიადი მოახლოვდა?

**როზეტა.** აი, მკლავიკ შეგიხვით, ანდრე... ეხლა ცოტას რომ მოისვენებდე, სჯობია, თორემ ავერ სამი დღედაღამეა თვალი არ მოგიხუჭავს...

**ანდრე.** რა დროს ძილია, დაო როზეტა, საცა ვერსალელები ისევ დაიწყებენ შემოტევას. ეს სირუმე აღმათ დაუწყებაა ქარიშხლის წინ... საბრალო ჩემი ჟორჟი. სძინავს. (მაშუხ უაღკრსებს).

**როზეტა.** მაშ რა მოუვიდოდა, რაც მავან გუშინ და გუშინწინ საქმეები გააკეთა... ვერსალელების ბანაკზე გავლით ხიღზე გადაიპარა, ჩვენ შტაბში ჩვენი ბარაკადის მდგომარეობაზე ცნობა გადასცა და სენას გაღმა მდგომარეობის ამბავი მოგვითხრობდა... ხიდის ყურზე მთელემარ ჯარისკაცს როგორღა გაუბედა ხელის კვრა, თბრილში გადაჩეხვა და თოფის წართმევა?!

**ანდრე.** მერე და შეხე, რა თოფია!... (მაშუხ).

**როზეტა.** ლუი მაინც უკრავს...

**ანდრე.** თავისი საკრავიკ თან წამოუღია?! (აგინას).

**ლუი.** მაშ რა მექნა... ჩვენი უბანი ვერსალელებმა დაიჭირეს და იმათ ხომ არ დაუტოვებდი!.. სიცოცხლეშიც ერთად ვიყავით მე და ჩემი ვიოლონი

და, თუ ჩენი კომუნა დამარცხდა, თუ მეც სიკვდილი მიწერია ბარკა-  
 დაზე, დეე ესეც ჩემთან დაილუპოს...

**ანდრე.** ვიდრე დრო არის, შეგიძლია, ლუი, დასტოვო ბარკადა, დაბრუნდე  
 შინ. სულ ერთია, ვინ იცის, რამდენიმე საათის შემდეგ რა გველის!.. ჯერ  
 კიდევ ახალგაზრდა ხარ, სიცოცხლით სავსე, იქნება შენ მაინც გადაარჩე  
 და გადასცე მომავალ თაობას, თუ როგორ იბრძოდენ კომუნარები ვერ-  
 სალელთა წინააღმდეგ...

**ლუი.** მაგას ვერ ეღირსებიან ვერსაღეღები, რომ ცოცხალმა ბარკადა დაე-  
 ტოვო... აი, ამ პატარა ქორეზე კი რომ იფიქრებდე და გადაარჩენდე,  
 ის ემჯობინება...

**როზეტა.** აი, ქორეი... ეს სწორედ გმირი ბავშვაი!..

**ანდრე.** რომ დაეტოვო, ვის დაეტოვო? ჩვენები ზოგნი ბარკადებზე დაილუ-  
 პენ, ზოგნი დახვრიტეს ვერსაღეღებმა, დეიდა სუზანასთან მივაბარე, აქ  
 რომ წამოვედი, მაგრამ გამოვედო... ხომ იცით, როგორც მორწმუნე კა-  
 თოლიკე, გაბრაზებულია კომუნარებზე: - მამაშენმა და სხვა კომუნარებმა  
 პარიზის ეპისკოპოსი რათ დახვრიტესო... ქორემაც დიდი ხნის ძებნის  
 შემდეგ ამ ბარკადაზე მომაგნო და აღარა მშორდება...

**ქორეი.** (აღვაძებს) მამა... აქა ხარ?

**ანდრე.** ო, გაიღვიძე?.. აღრეა, შეილო, ჯერ იძინე...

**ქორეი.** ჰო, მამა... ვერსაღეღები თუ მოვიდენ და დაგვბოცეს, გამაღვიძე...

**ანდრე.** კარგი, თუ დაგვბოცეს, გაგაღვიძებ და შენ შური იძიე იმათზე...  
 (იღინან).

**ქორეი.** აა, დეიდა როზეტა!.. შენც აქა ხარ?..

**როზეტა.** აქა ვარ, ჩემო პატარავ... აი, შენი ულუფა კვერი შეგინახე... (აძ-  
 ლეკს), მეორე დღეა არაფერი გიქამია...

**ლუი.** აი შაქრის კენტიც...

**ქორეი.** მერე თქვენ?..

**ლუი.** ჩვენ?.. ჰმ... ექამეთ... არ გვინდა...

**ქორეი.** საიდან ჰამეთ, რომ ჯერ კიდევ სამი დღის წინად გამოგველია ყვე-  
 ლაფერი?.. (მაუსა, წამოწყება) დაუქარი, ძია ლუი... ო, რა კარგად მეს-  
 მოდა ძილში... (აუა უკრავს).

**ანდრე.** ირგვლივ ვერსაღეღთა ალყაა, ვაზნებიც შემოგველია და აღარ ვიცი  
 რით გავუშასპინძლდეთ, თუ შემოგვეტიეს... (მაუსა).

**როზეტა.** აი, გუშინ საღამოს ეიოლი რომ დასტრეს იქ და ლაზარეთში წაი-  
 ყვანეთ, ათიოდე ვაზნა დარჩენოდა ჯიბეში და გამომატანა. (აძლევს).

**ანდრე.** ნეტა როგორაა?! (მაუსა). გუმბეტო მოჰკლეს, არნო გადაარჩება თუ  
 არა არაფერ იცის, ემილი დაატყვევეს და ალბათ უკვე დახვრიტეს კიდე-  
 ვაც... (მაუსა).

**ეორეი.** (თავისთვის) ჰმ... რაო?! ვაზნები აღარა გვაქვსო?! (ჩუმად ადგება, ბარაკადიდან გასცქერავს შიშს, ფრთხილად გაიზარება... ზაუსა).

**შარლი.** ტიულერის ცეცხლი უკიდია... ალბათ ვერსაღელთა ზარბაზნებით თუ გაჩნდა ხანძარი...

**ლუი.** ჰმ... ეს ვერაა კარგი...

**ანდრე.** თუ ერთი ორი დღე მიინც შევამაგრეთ ბარიკადა, იქნება მანამდე მოგვეშველონ ჩვენები... საჭიროა უკანასკნელი ძალის დაქიმვა...

**ლუი.** ერთი მუჟა ხალხი აბა რას გავზღვებით?!

**ანდრე.** კომუნის სიყვარული მოგვეცემს ამ გამბედაობას... (ზაუსა. გაისმის სრულად, ხმურა) რა ამბავია? (ადგება, გაჭყურებს).

**შარლი.** (იყურება, თოფს მოიმარჯვებს) შესდექ!!!

**ლუი.** ვინაა?

**შარლი.** ვილაცა მოცოცავს აქეთ...

**როზეტა.** პატარა ბიჭი ჩანს...

**ანდრე.** ვინ იცის, იქნება ვერსაღელთა ტყვეობას გამოექცა...

**შარლი.** იქნება ჯაშუშია?! (თოფს უშიზნებს).

**ეორეი** (შარლიდან). ძია, შარლ! არ მესროლო!.. მე ვარ!..

**ლუი.** ვინაა?

**შარლი.** ეორეი.

**ანდრე.** რაო?! ეორეი?! აქ არ ეძინა? როდის ადგა? როდის გაიბარა, ან რად?! (გადახტება ბარაკას იქით, აიფანს, გადმოაფანს) სად იყავი, შვილო?! ან როდის ადექი, რომ...

**ეორეი.** თქვენ არ ამბობდით, ვაზნები შემოგვაკლდაო? მე კი გუშინ ქუჩაში დახოცილი ვერსაღელი ჯარისკაცები გამახსენდა და მიფუტოციდი, ჩანთები დაფუტაღე... ამ დროს კი ვილაცამ მესროლა ვერსაღელთა მხრიდან... აი რამდენი ვაზნა...

**ანდრე.** ტყვია ხომ არხად მოგზვდა, შვილო? (სინჯავს).

**ეორეი.** არა... აბა ისინი მე მომარტყადენ?.. სადა აქეთ დამიზნების შნო? (იღინის...) რაა, პირველად ხომ არ ვუცლი სავაზნებეს?! (სუსტდება).

**როზეტა.** რა მოგდის, ეორე? სუსტდები!..

**ეორეი.** არ ვიცი... აი აქ თითქოს რაღაცა მეწვის... (ბარძაქზე უწვენებს).

**ლუი.** ალბათ დასჭრეს...

**როზეტა.** ტყვია მოხვედრია... (დასვამს, უსინჯავს).

**ანდრე.** ტყვია?!

**ეორეი.** მერე და ვინ უთხრა დამჭერიო?! ჯალათები!!! აბა მოვკვდე, ვაჩვენებ იმათ სეირს!!!

**ანდრე.** შე ცელქო, რომ გეუბნები ხოლომე ფრთხილად იყავი და ნუ ეზღურები მეთქი ვერსაღელებს, არ გესმის?! ხომ იცი, რომ ისინი არც ბავშებს ინდობენ?!

**როზეტა.** კრილობა საშიში არაა, მსუბუქად გაუკაწრავს... (უხევეს).

**ჟორჟი.** ხომ ვითხარით, რომ იმათ დამიზნების შნოც არა აქვთ მეთქი, რომ პირდაპირ გულში მოარტყან!..

**შარლი.** (ვიღაცას შეამჩნევს, მოემზადება) აბა, იარაღთან! ვგონებ ვერსაღეღები არიან!.. (ემზადებას).

**ანდრე.** შარლ, არ ესროლო!.. პარლამენტორები არიან!.. მკლავებზე თეთრი ნიშნები აქვთ, ალბათ მოსალაპარაკებლად მოდიან...

**ჟორჟი.** მოვიდენ აქ, მე ვაჩვენებ იმათ!.. (დამაჩანს იღებს).

**როზეტა.** არ აღგე, ჟორჟ, ვგრე იწეკი, რომ ფეხი მოსვენებით იქნეს და კრილობა არ ვაგვივდეს...

**ჟორჟი.** არა, მე ხომ მებუეც ვარ ამ ბარეკადის, მედოლე... სად არის ჩემი დეფი? (აიღებს).

**ანდრე.** ჯერ არ დაჰკრა, შეილო.

**ლუი.** (აღტაცებით) არა, ხომ ვითხარი, ანდრე, რომ ჩვენი კომუნა გაიმარჯვებს და ვერსაღეღები დამარცხდებიან მეთქი? აი, ახლა ალბათ იმიტომ მოდიან, რომ სახავო მოლაპარაკება სურთ.

**ლეიტენანტი.** გენერალ მარკოზ დე-გალიფეს ბრძანებით წინადადება გეძლევათ იარაღი დაჰყოთ, ბარეკადა ჩაგვებაროთ და დაგვენბდეთ. მოფიქრებისა და პასუხისათვის ხუთი წუთი გეძლევათ.

**ჟორჟი.** გამიშვი მეთქი, ძალოა როზეტა, რომ შუბლი გაუფხვრიტო!.. (იწეკს).

**როზეტა.** ჟორჟ! შეჩერდი!.. (არ უშეკს).

**ანდრე.** ამხანაგებო, თქვენი პასუხი?

**ლუი.** არასოდეს!

**უველა.** (იარაღს ათამაშებენ) გაუმარჯოს კომუნას!..

**ანდრე.** აი ჩვენი პასუხი! (ლეიტენანტი გაბრუნდება, კაჭკეკა კაპრადი).

**ჟორჟი.** რათ გაუშვით? ეხლა ხომ ისინი არ დავგინდობენ და დავგვოცავენ?

**ანდრე.** (პაუზის შემდეგ) იქნება ეხლა მიინც იფიქროს რომელიმე თქვენგანმა ბარეკადის დატოვება? ამხანაგებო, ვიდრე გვიან არაა! შენ, შარლ, ლუი, როზეტა, ანუ შენ, შეილო?

**ჟორჟი.** მე შენ არ მოგშორდები, მამა.

**შარლი.** ჩვენ ვრჩებით შენთან, ანდრე.

**ლუი.** და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძობებით.

**ანდრე.** შენა, დამ როზეტა?

**როზეტა.** პარიზელი მუშა-ქალი თავის წელილს შეიტანს კომუნის დაცვაში! მამეცით თოფი!.. (თოფს აიღებს, მხადაა. ჰუხა. გერსადელთა მხითთა შიას-შის ბუკის ხმა).

**ანდრე.** აბა, მოვეშადლოთ!.. ის ბუკი ვერსაღეღთა იერიშის ნიშანია, ალბათ, მალე დაიწყებენ!.. (აქედან ასტელება უაინა, სოფლა; აქედანც უშენს, ჟორჟი დაფს სტემს... ჰერ შარლს ხელება ტყვია, ენემა, შერე ლუის, უველა

მთავანი საკვადლის წინ შესატხებს: „გაუმარჯოს კომუნას!..“ ანდრე დროშას ააფრიალებს, შეხტება ბარაკადაზე და იახის) პარიზის მოქალაქენო, აქეთ! დივიცეთ საყვარელი კომუნა!.. (ამ დროს ტყვია ხვდება, დაბარბაცდება, გადმოფარდება, როზეტა შექვლის, მაგრამ იჭრება, ბარაკადას შეაუუდება მისუსტებული). ახ, კომუნა... ეორე... შურისძიება... გააუმაარ...ჯოს კოოომ...უ...ნ...ას!!! (ვედება).

**ჟორჟი.** მამა! საყვარელი მამა!.. მე გადავუხდი ჯალიათებს!.. (ხსაფრებული ესერის დამახას... ტყვია ედება, თითქმის დაავლებს ხელს, ტყვია არაა, შერე დროშას ასწევს და იახის) გაუმარჯოს კომუნას!.. (ამ დროს ვერსაღუდთა უაქინა გაისმის, ლეიტენანტი ბარაკადაზე ამოხტება ხმელამოწვდილი, იქვეა კაბრალი, ჯარისკაცები გამოსწვდიან თათებით).

**ლეიტენანტი.** როგორ, ეს თხუნელა გვებრძოდა?! (გადახარხარებს).

**ჟორჟი.** გაუმარჯოს კომუნას!!!

**ლეიტენანტი.** (ხარხარებს) კომუნა მოკვდა!..

**ჟორჟი.** სტყუ!.. ის არ მოკვდება!!!

**ლეიტენანტი.** ვინ ხარ? (დასცინის).

**ჟორჟი.** ეორე დიუ, დურგალ ანდრეს შვილი! აი მამანემი!.. (ანგუნებს) მე შური უნდა ვიძიო შენზე!.. (ასკუპებს და მოუთმენლად მივარდება, ახტება და უეღში სწვდება ჟერ კიდევ მოხარხარე ლეიტენანტს, მაგრამ მის უკან მდგარი კაბრალი ხიშტს დასცემს... ამავე დროს ლეიტენანტი ხელის კერით შოიშორებს. ვარდება...) აჰ!!! ჯალიათებო!!! (კვდება... ჰუხუხა. ლეიტენანტი ტანისამოსს იწმენდს).

**ლეიტენანტი.** აჰ, რად მოჰკალი ეს ლეკვი?! ეს მინც წაგვეყვანა ტყვედ და გვეჩვენებია გენერლისთვის, თუ ვინ გვებრძოდა!..

**კაბრალი.** მამ რაა... განა ამან კი ეორე დახოცა ებლა ჩვენები? კინლაშ თქვენც... (ჯიბიდან ბოთლს იღებს, შოიუელებს).

**ლეიტენანტი.** ეჰ... რომ ვაიზრდებოდა, უარესი გამოვიდოდა... (გამარჯვებულის დაცინის ჰოზით ცალ ფეხს ადგამს ჟორჯს და ჰაბაროსს სწევს. შორს კანტიკუნტად ისმის სროლა, არე წითლად ხათდება).

სეზმან ერთაწმინდელი.



## კომუნა.



სისარულით გვიცემს გული  
და მივიწვევთ წინა...  
ერთად ვსწავლობთ, ერთად ვშრომობთ  
და ერთი გვაქვს ბინა.

ერთნაირად გვიყვარს ეველა:  
შოთა, თინა, კოლა,  
და ცხოვრების გზას გვიკაფავს  
ჩვენ კომუნა — სკოლა.



სამუშაოზე გადვივართ  
ხალისით და ნდობით,  
ვიცით, ქვეყნად ეველაფერი  
რომ კეთდება შრომით;  
და ამიტომ ზაწაწინა  
მშრომელი ვართ ეველა,  
შრომაშია სისარული,  
ქვეყნის ხსნა და შეველა.  
სახელოსნო ჟრიაბულობს,  
შიგ იხმის შიშინი;



ეველამ კარგად ვიცით უკვე  
გაკურა შალაშინის.  
გაბრწყინებულ სახეებით  
ვშრომობთ, მივაღთ წინა;  
ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვსწავლობთ  
და ერთი გვაქვს ბინა.

დავით კობიძე.



მშრომელ ქალთა დღე.

8 მარტი „მუშა-ქალთა დღე“, ეს დღე დაარსდა 1910 წელს კომუნისტი ქალების კლარა ცეტკინის და როზა ლიუქსემბურგის თაჯხნობით.

ამ დღეს განსაკუთრებით უნდ-იგრძნოს დედამ, რომ შვილი გა-ამართლებს მის იმედს, რომ ის მთელი თავისი ძალ-ღონით ხელს შეუწყობს მშრომელი ხალხის ბე-დნიერი მომავლის შე-ქმნას.

ჩვენი კავშირის ბავა შეებისათვის შეიძლება გაუგებარიც იყოს, თუ რა საჭიროა განსაკუ-თრებით ქალთა დღის დღესასწაული, მაგრამ თუ მივიღებთ მხედვე-ლობაში, რა მდგომარეობაში იყვნენ ქალები რევოლუციამდე, რა მდგომარეობაში არიან ისინი ახლაც ბურჟუაზიულ ქვეყნებ-ში, მაშინ ცხადი იქ-



მზ. კ. ცეტკინი და რ. ლიუქსემბურგი (სურათი გადაღებულია 1910 წელს)

ნება, თუ რისთვის არის იგი სა-ჭირო. სრულიად თავისუფალი და სრულუფლებიანი მოქალაქე ქალი მხოლოდ ჩვენ კავშირშია. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქა-ლებს არ აქვთ უფლება არჩევნებ-ში ისეთი მონაწილეობა მიიღონ, როგორც ჩვენში, მათი შრომა უფრო ნაკლებ ფასობს, ვიდრე მამაკაცის.

ეს დღე მოზარდი თაობისათვის განსაკუთრებით დიდი დღესასწაუ-ლია — დღესასწაული მშრომელი დედის და დის. ამ დღეს ყოველი ბავში განსაკუთრებული სიხარუ-ლით და ხალისით უნდა ეხმარე-ბოდეს თავის დედას და დაუ-მტკიცოს მას, რომის განაგრძობს დედასთან ერთად საბჭოთა რეს-პუბლიკის საკეთილდღეოდ პატი-ოსან შრომას

ნება, თუ რისთვის არის იგი სა-ჭირო.

სრულიად თავისუფალი და სრულუფლებიანი მოქალაქე ქალი მხოლოდ ჩვენ კავშირშია.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქა-ლებს არ აქვთ უფლება არჩევნებ-ში ისეთი მონაწილეობა მიიღონ, როგორც ჩვენში, მათი შრომა უფრო ნაკლებ ფასობს, ვიდრე მამაკაცის.

ქალთა დღე მსოფლიო მუშათა მსოფლიოს მუშა ქალების გაქირ-  
კომუნისტური მოძრაობის ნაწი- ვებულ მდგომარეობას მათდა



ახ. ნ. გ. კერქელიძე



ახ. მარიამ ორბელიანი



ლია. ამ დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი ვიგონებთ მთელი ვრობის წინააღმდეგ.

**პარიზის კომუნა.**

18 მარტი პარიზის კომუნის დღეა. ამ დღეს ყოველი მუშა, ღარიბი გლეხი და პატიოსანი ინტელიგენტი იგონებს პარიზის კომუნართა თავგანწირულ ბრძოლას მდიდრების და გაიძვერების წინააღმდეგ.

1871 წელს პარიზის პროლეტარიატი აჯანყდა ბურჟუების და მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ საკუთარი ძალების სისუსტის გამო ბურჟუაზიის მიერ სისხლის მორევში იქნა ჩახრჩობილი.

პარიზის კომუნაზე გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ ათიათასობით დახვრიტა მუშები და არ შეი-

ბრალა მუშების უსუსური ბავშვებიც კი.

პარიზის მუშები არ დაბნეულან, და პარიზის კომუნამ 5 აპრილს დაახლოებით შემდეგი მოწოდებით მიმართა პარიზის მშრომელთ:

— მოქალაქენო! ვერსალის ყაჩაღები ყოველდღე ხოცავენ ჩვენს ძმებს; ყოველ საათს ცნობები მოაქვს მკვლელობის შესახებ.

თქვენ იცნობთ ამ დახვრეტების მომწყობთ: ესენი მეფის ჟანდარმები და პოლიციის აგენტები არიან; ეს ვაჟბატონები მეფის და მდიდრების მომხრენი არიან, თერთორი დროშებით და „გაუმარჯოს



მეფეს“ ძახილით მოიწვევენ პარიზისაკენ.

ბურჟუების მთავრობამ ყოველგვარი ადამიანობა დაკარგა და ამიტომ ჩვენც სიმკაცრით უნდა ვუპასუხოთ მათ.

გაუმარჯოს პარიზის მუშებს და მათ გადამწყვეტ ბრძოლას მუქთახორების წინააღმდეგ.

ბურჟუაზიამ თავის მხრივ შემდეგი ხასიათის მოწოდებით მიმართა დაქირავებულ ჯარს: „ნაკლები კაცთმოყვარეობა და მეტი ენერჯია. ტყვეებს ნუ წამოიყვანთ, არამედ ამოსწყვიტეთ.

მოიქცეით ისე, რომ სამაგიერო გადაუხადოთ კომუნარებს თქვენი ძმების შეურაცხყოფისათვის.

დღე! დღეს ჩაიდინეთ ყველაფერი ის, რის უფლებასაც ხვალ სალი გონება არ მოგცემს!“.

პარიზის კომუნამ ვერ გაუძლო პარიზიდან ვერსალში გაქცეული ბურჟუაზიის, მეფის მოხელეების და დაქირავებული ჯარის შემოტევას და მედგარი ბრძოლის შემდეგ სახელოვნად დაეცა.

რატომ ვიგონებთ პარიზის კომუნას? იმიტომ რომ კომუნა იყო პირველი სერიოზული ცდა ბურჟუა-

ზიული სახელმწიფოს ნანგრევებზე პროლეტარიატის დიქტატურის, მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებისა.

როგორც კარლ მარქსი სწერდა, მუშების პარიზი თავისი კომუნით ყოველთვის მოსაგონარი იქნება, როგორც წინამო ბედირაბალი საზოგადოებისა.

პარიზის კომუნა დაეცა, მაგრამ მის მიერ დაწყებული დიადი საქმე დაავირგვინა რუსეთის ძღვევამოსილმა პროლეტარიატმა და ღარიბმა გლეხობამ 1917 წლის 25 ოქტომბერს.

შორს არაა ის დღე, როდესაც მთელი მსოფლიოს პროლეტარი ატი და ღარიბი გლეხობა კომინტერნის (კომუნისტური ინტერნაციონალის) მტკიცე ხელმძღვანელობით მოსაბებს მთელს მსოფლიოში ბურჟუაზიის ბატონობას და დამყარებს მსოფლიო კომუნას, ეს კი მოხდება კომინტერნის უშუალო ხელმძღვანელობით, რომლის ათი წლის იუბილესაც მარტში ვლდესასწაულობთ. კომინტერნი



კომუნის მტერი გენერალი ვალიფე

დაარსდა მოსკოვში 1919 წლის 2 მარტს. ვალიკო.

### კინო ალაპარაკდა.

ვის არ უნახავს კინო! სურათებს გვიჩვენებენ, ლაპარაკის მაგიერ წარწერები აქვს. სურათების ჩვენების დროს შეიძლება ერთმანეთს დაელაპარაკონ კიდევაც მაყურებლები, ეს არავის ხელს არ უშლის.

მაგრამ ამასიქით კინოებშიაც ისევე ჩუმად უნდა იჯდეს კაცი,

როგორც თეატრებში და აი რატომ: ამერიკაში გამოიგონეს მოლაპარაკე კინო. მოლაპარაკე კინოს გამოიგონებას კარგახანია ცდილობდნენ, მაგრამ მხოლოდ 1923 წელს გამოიგონა მეცნიერმა დეფორესტმა ისეთი მანქანა, რომელიც იღებს კინო-სურათისათვის არტიტების მოქმედებასაც და წერს

სიტყვებსაც საგანგებოდ გაკეთებულ ფოტოგრაფიულ ლენტზე.

მოლაპარაკე კინოსათვის სურათების გადაღება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ჩვეულებრივისთვის და ბევრად უფრო ძვირიც ჯდება. ამერიკის დიდ ქალაქში

ნიუ-იორკში უკვე აჩვენებენ მოლაპარაკე კინოს. ხალხი აუარბელი დადის და ამიტომაც იქ საგანგებოდ ააშენეს დიდი თეატრი.

უთუოდ ჩვენც ჩქარა ვნახავთ მოლაპარაკე კინოს.

### უხილავი საფრთხეა.



გერმანელი სტუდენტი ოტო კრეისერი სოფლის გზაზე, მიდიოდა.

რადგანაც გზა მიხვეულ-მოხვეული იყო, გადასწყვიტა შეემოკლებინა და გაჰყვა ბილიკებს ბოსტნებში.

უცებ მიწის გულიდან ვილაცამ ბოხი ჩახლენილი ხმით დარიალა:

— არ გაბედო ჩემი კომბოსტოს ხელის ხლება.

— უეცრავად ვარ, — მაგრამ მე არაფერს არ ვაშავებ. — მიუგო სტუდენტმა.

— დაიკარგე აქედან! — დაიყვირა ისევ ხმამ.

— ეს რა ამბავია? — იკითხა ოტომ და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა.

— დაიკარგე აქედან, შე უსირცხვილო, ნუ თელავ კვლებს! — ყვიროდა პასუხად ხმა.

— მე ბილიკზე მივდივარ! — დაუყვირა გაბრაზებულმა ოტომ. უცნაური დარაჯი ერთს წუთს ჩუმად იყო და უცებ ისევ დაიყვირა:

— არ გაბედო ჩემი კომბოსტოს ხელის ხლება!

ოტო დაიხარა კვლებს შუა და გადინახარა: კომბოსტოს თავებს შორის დაინახა ხმაშარდის რუპორი.

ამ ზაფხულში გერმანიაში თითქმის ყველა ბოსტანში შემოიღეს ამნაირი რადიო-საფრთხოებელი. ხმით შეძახება ჩვრებგადაცმულ საფრთხოებელაზე უფრო აშინებს ფრინველებს.

— ნახვამდე! — შესძახა მხიარულად რუპორს სტუდენტმა.

— დაიკარგე აქედან, შე უსირცხვილო, ნუ სთელავ კვლებს! უპასუხა მას რუპორმა.

### ხელოვანი სანდრო.

სანდროს დედამ შეამჩნია, რომ ქვაბი გახვრეტილა და კერძის მოხარშვა შიგ შეუძლებელია. არც

აქვს სხვა ქვაბი. არც იცის, რა ქნას. სწორედ ამ დროს სანდრო მოვიდა სკოლიდან.

— რა იყო, დედი, რატომ ხარ დაღონებული? — ჰკითხა მან დედას.

— აი, ქვაბი გახვრეტილა და არც სხვა მაქვს.


— აბა, მაჩვენე, — უთხრა სანდრომ.

• დედას გაეცინა და მიაწოდა ქვაბი.

— აბა, შენ რას უზამ, ხელოსანი ხარ თუ?

— მაშ, დედა, ჩვენ სახელოსნოში სკოლაში ტყუილად ვმუშაობ? სთქვა სანდრომ და გაიქცა თავისი თაროსაკენ.

ჩამოიღო კალა, გამოსჭრა პატარა ნაქერი, თავიანი ლურსმა-



ნივით. ჩაურჭო კალის ლურსმანი ქვაბში, გადააბრუნა, ლურსმანს შეშის ნაპობი შემოუდვა და ზევიდან იმდენ ხანს სცემა ჩაქუჩი, სანამ მეორე თავიც არ გაბრტყელდა და არ დაეტკვნა ქვაბის ფსკერს გარედან.

### ქალაქის ქვაბი

დაბრუნდა თუ არა ნათელა სკოლიდან, ისადილა და მაშინვე მიუჯდა მაგიდას და რალაცის კეთება დაიწყო. გააკეთა ქალაქის პატარა კოლოფი, კიდევზე ზევიდან მუყაოს ზოლი მიაკრა. კუთხეებში ძაფი გაუყარა და ზევით ოთხივე ერთად გასკვნა.

— ნეტა რას აკეთებ? — ჰკითხა თემურმა.

— ქვაბს. წყალს ავადულებ.

— რაში აადულებ? შენი ქალაქი ერთბაშად დაიწვის ან დასველდება და დაიფლითება.

— ჯერ ნახე, — უთხრა ნათელამ, მოიტანა წიგნები და დააწყა ორ სვეტად. გასდვა ზედ პატარა ჯოხი. ჯოხზე ქალაქის კოლოფი გამოაბა და ფრთხილად ჩაასხა შიგ წყალი. კოლოფს ქვეშ შეუდგა ანთებული სპირტის ლამპა. თემური გაბცვიფრებული უყურებდა. ჩქარა წყალმა ორთქლი აუშვა.

— აბა, სინჯე, გაცხელდა თუ არა? — უთხრა ნათელამ.


როდესაც წყალი ადუღდა ქალაქის კოლოფში, თემურმა სიხარულით არ იცოდა რა ექნა და დააყარა კითხვები:

— რატომ არ დაიწვა ქალაქი, რატომ არ გაიხა და წყალი არ დაიღვარა?

ნათელამ აუხსნა თავის ძმას:

— იმიტომ არ დაიწვა, რომ ქალაქმა ცეცხლის სიმცხუნვარე, იმის მაგიერ, რომ თვითონ გაცხელებულიყო, წყალს გადასცა, თვითონ არ დაიწვა და წყალი კი აადუღა.





მუდამ ენამოთაფლული,  
ცქრილა და ცუკრუძელა,  
სკოლისაკენ მიადიჯებს  
ჩვენი თინა ხელა-ხელა.

დინჯია და თვალებმალი,  
ეველაფერში მიდის წინა  
და ასაკის შესაფერად  
მაგარია, როგორც რკინა.

თავისუფალ დროს ანდომებს  
ტანჯარჯიშს და ახალ წიგნებს  
ერთის სიტყვით, სწავლობს ქალი  
და ეველაფერს კარგად იცნებს.

აი, ესლაც კლასში მიდის,  
კულში აძობს გაკვეთილებს,  
სიცოცხეს სულ არ უძღლავს  
ლამაშ ტუჩს და ლამაშ კბილებს.

კნახე ერთმა ცელქმა ბიჭმა  
ზურგში თოვლის გუნდა დრუსა:  
თინა როდი მოიღუბა,  
თინა როდი მოიბუსა.

ამხანავო, შეკრებლა!  
სროლა აი როგორ უნდა:  
დაახვია სველი თოვლი  
და შიგ ზურგში სტკიცა გუნდა.

ზიო მღვიმელი.





## კარგი და ცუდი.



— მამილო, დამი-  
სატე, თუ გიყვარდე, ძაღ-  
ლი, ძაღლის სასლი და  
უღვაძეებიანი მია, — უთ-  
ხრა მამას ნონამ.

— ძაღლიან კარგი,  
ახლავე დაგისატავ! — მი-  
უგო მამამ და დაუსტა  
აი ასეთი სურათი.

— ოჸ, მამა! — სიტყვა  
ნონამ, — განა ძაღლები  
გაწეთებს კითხულობენ?  
შენ სულ აურ-დაურიე.  
ძაღლი თავის ბუნაგში  
უნდა იყოს და მია მა-  
კიდასთან იჯდეს.



— მართალია, ეს  
როგორ მომივიდა! დანი-  
ცა, ახლავე დაუსტავ  
კარგად.

ნონა დიდხანს ათვა-  
ლიერებდა ამ სურათს და  
სიტყვა:

— აი, ეს კარგია,  
აქ ეკვლავური თავის ად-  
კილას არის. ახლა აბა,  
მამილო, დამისატე კარტა  
და თავი.



— კატა და თაგვი?  
ძალიან კარგი. ახლავე  
დაგინახებ.

მამამ დაუსატა აი  
ასეთი სურათი.

— უჰ, რა სასაცილო  
სარ, მამილო! — უთხრა  
ნონამ მამას, — განა თაგვს  
შეუძლია კატის დაჭერა?  
თაგვი სომ ზატარაა და  
კატა დიდი! სხვა სურათი  
დამინახე.

— განა კიდევ ბურ-  
დაბურე! — შეჭევირა მა-  
მამ, — ეს რა შემართება  
დღეს.

და დასატა აი ეს  
სურათი.

— ჰო, ეს კარგია, —  
უთხრა ნონამ. — ეველადფე-  
რი თავის ადგილასაა,  
როგორც უნდა იყოს.  
ახლა ზატარა ნაფი და  
ზატარა სახლი დამინახე.



— ახლავე, — უთხრა  
 მამამ და დაუსატა ზი ასეთი  
 სურათი.

ნონიკოს გაეცინა:

— უჰ, მამილო, შენ  
 ისევე ხურ-დახურიე. აბა, თვი-  
 თონ იფიქრე, განა სასლი  
 შეიძლება წუალსე იდგეს და  
 სომალდი მიწასე მიცურა-  
 დეს?



— მართალია, მართა-  
 ლი! — შეჰუვირა მამამ, —  
 როგორ ვერ მოვიფიქრე.  
 სომალდი, რასაკვირველია,  
 წუალსე უნდა იყოს და სა-  
 სლი მიწასე.

— აჰა, ხედავ, ეს რა  
 მშვენიერი სურათი გამო-  
 ვიდა. ეველაფერი თავის  
 ადგილასაა, სწორედ ისე,  
 როგორც უნდა იყოს. ახლა  
 კი, მამილო, საწოლი და  
 ზატარა ტიტირა გოგონა  
 დამისატე.





— დაგისატავ! — უთხრა მამამ. — ახლავე! აჰა, საწოლი და აჰა, შენი ზატარა ტიტინაც.

— ოჰ, მამილო, როგორ გააფუჭე სურათი: სად გინახავს, რომ ბავშვები ფეხსაცმელებს საწოლზე აწუობდენ და თვითონ საწოლ ქვეშ წვებოდენ დასამინებლად?

— უჰ, უჰ, უჰ! — შეჭევირა მამამ. — ნეტა რა მოძდის დღეს! ძაგრამ არა უძახს, სხვას დაგისატავ.



— აი ეს სურათი უკეთესია! — გახარდა ნონიკოს. ტიტინას საწოლში ურჩევნია ძილი და ფეხსაცმელებს საწოლის ქვეშაც არა დაუძავდება რა. ახლა, მამილო, დაძინატე ცხენი და ჩვენი ესიკა.

— დიდი სიამოვნებათ, ცხენსაც და ჩვენს ესიკასაც ამ წუთში დაკისბატავ.


მამამ აიღო ფანქარი და დაუხატა აი ეს სურათი.

— ფუი, მამილო! — შეჭკვიონა ნონიკომ. — შენ ისევე ცუდად დახატე. განა ცხენს ზიდავს ესიკა?

— მართლა, — სთქვა მამამ და უნდოდა მეორე სურათის დახატვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ტელეფონთან დაუძახეს.

მაგიდაზე კი სუფთა ქაღალდი დარჩა. ნონიკომ აიღო ფანქარი და თვითონ დახატა ცხენიც და ესიკაც. დადვა მამის დახატული სურათის გვერდით, რომ ეჩანა მამას, როგორ უნდოდა სწორედ დახატვა.

ნონიკოს ძალიან უნდოდა, რომ თქვენც, ვინც ამ ამბავს წაიკითხავთ, დაგესატათ ცხენი და ესიკა, რომ თქვენს მამას ეჩანა სწორედ დახატული.



# ლექსები



(რუსულიდან).

მოემზადა მამა თავის ამხანაგ-  
თან ერთად იხვებზე სანადიროდ.  
სტეპკო ემუდარება:

— წამიყვანე მეც შენთან...

— აბა სად უნდა წამოხვიდე,—  
ამბობს მამა,— დაიღლები და გაი-  
წუწუები ქაობში.

— მე მაღალყელიან ჩექმებს ჩა-  
ვიცვამ. წამიყვანე!

შინ სტეპკო მარტო უნდა დაე-  
ტოვებინათ, ამიტომ მამამ გადა-  
წყვიტა მისი წაყვანა; ამხანაგიც  
ეუბნება:

— წავიყვანოთ, თორემ შენ ვე-  
ლარ მოისვენებ მაგისი დარდით...

მიდიოდენ რკინის გზით, მერე  
ცხენებით უახლოეს სოფლამდე,  
სადაც ცხოვრობდა მამას კარგი  
ნაცნობი, სოფლელი მონადირე  
იაგორა.

დალიეს ჩაი და აღრიანად დაი-  
ძინეს, გათენების ხანს კი წამო-  
დგენ და წავიდენ სანადიროდ.

მიდიოდენ ტყე-ტყე და დიდ  
ხრამს წააწყდენ. აყეფდა უცებ მა-  
მას ძაღლი, ეძგერა წყლის სა-  
გუბარს.

იაგორა აედევნა, ჩაიხედა ხრამ-  
ში და ამბობს:

— შერი-ჰაა! აქ მგლის სორო  
ყოფილა, მგლის სამი ლეკვი წევს,  
სულ პატარები. ძუ მგელი კი,  
ეტყობა, საზრდოსთვის წასულა.

— ძალიან კარგი,— ამბობს მა-  
მას ამხანაგი,— ვეძებდით იხვებს  
და მგლის ლეკვები კი ვიპოვეთ.  
წავეყვანოთ ისინი. რახანია მგლის  
ლეკვი მინდოდა.

სტეპკოც ემუდარება მამას:

— წავეყვანოთ ლეკვები... ისი-  
ნი ისე ლამაზებიან...

იაგორა კი თავს იქნევს:

— სჯობს ხელს ნუ ახლებთ: თუ  
მგელი მოგვეწია, ხეირს არ და-  
გვაყრის... ძალიან ავგუღია ის  
ამ ხანებში...

— ჩვენ ხომ თოფები გვაქვს...

— თოფები საფანტითაა და ტე-  
ნილი...

— არა უშავს. მგლებს თოფის  
ეშინიათ...

დაიჭირეს ლეკვები და წამოვი-  
დენ. სტეპკო იხვეწებოდა ერთი  
ლეკვი მე მომეცით სატარებლად,  
მაგრამ მამამ არ მისცა.

უკვე ერთი საათი მოდიოდნენ ტყე-ტყე, რომ უცებ შორიდან გაქაანურებული ყმუილი მოესმათ.

ძალღმა კუდი ამოიძუა, ყოყმანით გადახედა ადამიანებს და გაუბედავად დაუყუფა...

— დაყარეთ ლეკვები!.. დაიყვირა იაგორამ. — თოფები მოამზადეთ!..

ახხარუნდა ჩახმახები და იმავ წუთში ბუჩქებიდან ძუ მგელი გამოხტა...

კბილები დაეკრიჭა, ქეჩოზე ბეწვი ცოცხივით ადგომოდა და ასეთი აფხორილი უფრო დიდი და ავგული ჩანდა.

მგელი ეძგერა იაგორას, რომლის ფეხებთან ლეკვი იწვა და ყირაზე გადაატრიალა. მონადირეებმა თოფი გაისროლეს, მაგრამ ძუ მგელი ეხლა ამათ ეკვეთა და გამხეცებულმა დაუწყყო ხელებზე კბენა და ტანი-სამოსის გლეჯა.

ძალღი წაეშველა ადამიანებს, მაგრამ ძუ მგელმა სტაცა მას პირი და ზურგს უკან გაღისროლა...

— მოეცალეთ!.. — ყვიროდა იაგორა და ფოფხვით შორდებოდა ლეკვებს...

მონადირეები თოფებით იგერიებდნენ მგელს და ნელ-ნელა იხევდნენ უკან.

სტებკოც ლავაშივით აკროდა მამას და შიშისგან გაგანიერებული თვლებით მისჩერებოდა მგელს.

ძუ მგელმა მიატოვა ადამიანები, მივარდა თავის ლეკვებს და დაადგამათ თავზე საომრად გამზადებული.

— უკან, უკან!.. — ბუტბუტებდა იაგორა, — მოშორით! ეხლა ხელს აღარ გახლებსთ.

მონადირეები იხევდნენ უკან და სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ მგლის ლეკვებს. მგელი კი კრეკდა კბილებს, იწურავდა ყურებს და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ეს არის ეძგერებო... მაგრამ არ იძროდა კი, მხოლოდ ელოდა, როდის წავლენ და დამანებებენ თავს ადამიანებო.

როდესაც ლეკვები და მგელი ბუჩქებს მოეფარენ, იაგორამ თავისუფლად ამოისუნთქა და სთქვა:

— ხომ ვამბობდი, ხელს ნუ ახლებთ მეთქი მგლის ლეკვებს! დახე, როგორ გამოგვენთო. ძუ მგელი თავისი ლეკვებისთვის სიკვდილსაც არ შეუშინდება.

მარია მიქელაძე.

# ტრაქტორზე.

გოგი, ვანო და შალიკო  
წილის ნაწილს სხედან მარტო,  
უსაქმური არ გვეთანოთ;  
აკეთებენ თიხის ტრაქტორს.

— აი, ბიჭო, ასე იყო,  
სწორედ ასე, არ შედავდი?  
აქ ქვაბივით რაღაც იდგა  
და ის სავსე იყო ნავთით!

— ძეგო, მე რას შედავუბი,  
მიაკანი, გამოძეგო!

ჰო, მეც მახსოვს, ეს რკინები  
სწორედ ვერე ჰქონდა გვერდზე.  
ამბობს ნელა შალიკო და  
თან ხელებით თიხას სრესავს,  
თანაც რკინის მანქანაზე  
მღერის ჩუმად ახალ ლექსსა.

მიდის ასე მუშაობა

ხალისით და ენერჯით,  
ვანო სოკოჯერ ინჯინებს და  
ტრაქტორივით ვეირის, კივის.

— ბიჭოს, მოვრჩით! ბიჭოს, მოვრჩით!  
მუშაობა, ჰა, გათავდა!

სტის გოგი და ამაყად დგას  
დამთავრებულ საქანავთან.

— დამცადეთ, ეძაწვილებო!—  
ამბობს ვანო კვლავ დიმილით  
და ლამაზად სედ დაადგა  
ხატარა და კოხტა მილი.

— ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რა კარგია!—

იმხანა ვეუღა ერთად;  
ქრიამული, სისარული  
არემარეს შეუერთდა!



# ჩვენი მავითხველუბის წერილუბი დ ნახატუბი



## ს ტ ა მ ბ ა შ ი


ჩვენ ვიყავით სტამბაში, იქ ვნახეთ, როგორ უკეთებენ წიგნებს ყდებს. ერთი კაცი წიგნის ფურცლებს ალაგებდა, მეორე ჰკერავდა, მესამე ნომრებს ბეჭდავდა, მეოთხე მანქანით ასწორებდა წიგნს.

მუშები დაგვხვდნენ ჩუმად, არ ლაპარაკობდნენ, ჩვენი მისვლა გაეხარდათ. ერთმა მუშამ აგვიხსნა ყველაფერი. ჩვენ მადლობა ვუთხარით და წამოვედით.

თალიკო საბაშვილი

ფილებში პირველ ოთახში წიგნებს არიგებდნენ. ერთმა ქალმა კატალოგი გვიჩვენა. კატალოგში ეწერა წიგნის სათაური, ავტორის გვარი, სახელი და წიგნის ფასი. მეორე ოთახი სურათებით იყო მორთული. როცა დიდების განყოფილებაში შევედით, სრული სიჩუმე სუფევდა, რუსიკომ ისიც კი თქვა, ისეთი სიჩუმეა, რომ ისინი მუყაოს კაცები მგონიაო.

მ/ა წლ. გივი კალანდარიშვილი.



## სამავითხველო

13 თებერვალს ჩვენ ვიყავით სამავითხველოში. იქ პირველად შესავალში ვნახეთ ამართული მარქსის ძეგლი. საბავშვო განყო-


## როგორ ვუვლი ჩემ ხბოს.

ზამთარში ჩემი ხბო პატარა იყო. ხბომ ქამა არ იცოდა, მარტო ძუძუს სწოვდა. მარტში ქამა ისწავლა და ცოტ-ცოტა ყველაფერს სჭამდა. მე ხელს ვუწყობდი, რომ გასუქებულიყო, ამიტომ ვუსუფთავებდი ბოსელს და ხბოსაც ვასუფთავებდი. მალ-მალე ვუყრიდი საჭმელს და ახალს ვუცვლიდი. აპრილის კარგ დღეებში კარში




ვუშვებდი, და ის თამაშობდა. მაისში ქამა კარგად ისწავლა და ბალახს ვაჭმევდი. მოვებამდი კისერზე თოკს და ბალში სუფთა და წმინდა ბალახზე ვებამდი. ხბო მალე გასუქდა. ახლა დილ-დილაობით ყოველთვის სუფთა ჰაერზე გამომყავს. ჩემ მოვლილ ხბოს ჩვენი სამეურნეო წრე შეაფასებს.

ა. მამულოვი.



დავებმარაი

მე-3 შრომის სკოლასთან არსებულმა ნ. პ. ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა „ბავშვმკითხველთა წრე“. ამ წრეში უმთავრესად იმუშავენ ოქტომბრელები და პიონერები. სკოლას აქამდე გამოწერილი არ ჰქონდა ჟურნ. „პიონერი“ და „ოქტომბრელი“. არც საბავშვო წიგნების გავრცელება იყო სათანადოდ დაყენებული.



წრის მიზანია კოლექტიურად გაარჩიოს ჟურნ. „პიონერი“ და „ოქტომბრელი“ და თავისი აზრი გაუზიაროს რედაქციას.

პიონერებმა ჩამოაყალიბეს მეორე წრე—„დამხმარე“. ჯგუფში არის ბევრი სუსტი მოწაფე, რომლებიც ძლიერ ჩამორჩენილი იყვნენ საგნებში. ეხლა ამ წრეში ჩაბმული არიან ოქტომბრელები და პიონერები და კარგი აღმზრდელობითი შედეგი მივიღეთ. სუსტი მოწაფეების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

საქირთა მუშაობის უფრო გამოცოცხლება.

გიგო ლომიძე.



რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია: ვ. ლუარსაშიძე, ნინო ნაკაშიძე და გ. ელიჯარაშვილი.

## იხილავს ავტორს ნიშნის მაღაჯივში

### სახელგამის გამოცემანი

	მან.	კ.
1. თეთრშუბლა . . . . .	—	20
2. ჰატარა ბიჭის თავგადასავალი . . . . .	—	50
3. მოისასრე . . . . .	—	50
4. ჰატარა მშენებლები, — ფერადი სურათებით . . . . .	—	80
5. ჩემი წიგნი, — ფერადი სურათებით . . . . .	—	75
6. ათეული, — ფერადი სურათებით . . . . .	—	20
7. ჩემი მეკობრეები და ნაცნობები, — ფერ. სურათებ. . . . .	—	50
8. კოცობა და მურია, — ფერადი სურათებით . . . . .	1 -	25
9. ბავშთა სიმღერები, — თ. შავერსაშვილის . . . . .	—	80
10. კომუნარის შვილისძეილი . . . . .	1	—
11. ვინ არის ვეკლასე ძლიერი, — ფერადი სურათებით . . . . .	—	75

— III 1929 წ. III —

გ ა მ ო ვ ა

საუმაჯავროდო დასურბათებულო ქურბნალები:

მცირეწლოვ. „ოქტომბრული“ საბჭოთა II წ.

მოსწრდილ. „პიონერი“ საბჭოთა IV წ.

ხელმძღვანელო მიიღებო წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომბრული“ — ერთი წლით—3 მ. 50 კ.  
ნახევარი წლით—2 მ.  
„პიონერი“ — ერთი წლით—5 მ.  
ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი { „ოქტომბრული“ — 35 კაპ.  
„პიონერი“ — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22. სახელგამი (შეორებ  
სართული). ახალგაზრდათა სექტორი „ოქტომბრული“ და  
„პიონერი“ რედაქციას.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.  
გამომცემელი—სახელგამი.

